

საზოგადოებრივი კოლეჯი
„კავკასიონი“

სტრატეგიული განვითარების
ერთწლიანი გეგმა

2017-2018 წელი

„ვამტკიცებ“
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს
დირექტორი რ. ლომაია
ბრძანება №37, 25.03.2017 წელი

ქუთაისი 2017

I. საზოგადოებრივი კოლეჯის სტრუქტურა და საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები.

საზოგადოებრივი კოლეჯის მიზანია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. მაღალკვალფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოზიდვა და შენარჩუნება.

ამავე დროს სტუდენტი სასწავლო პროცესის გარდა ჩართული იყოს კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში. კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტთა თვითშემოქმედებას, ატარებს კონფერენციებს, კულტურულ ღონისძიებებს, სპორტულ შეჯიბრებს. სტუდენტი პატივს უნდა სცემდეს მშობლიურ და სხვა ერების კულტურას,

კოლეჯის სტრუქტურა შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების თანამედროვე მოთხოვნებს;

საკუთარი განახლებადი ვებ-გვერდი, ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, მუდმივი ინტერნეტი;

კოლეჯის ფუნქციონირების ეფექტურობას ხელს უწყობს პარტნიორული ურთიერთობა მრავალ სამთავრობო, თუ არასამთავრობო სტრუქტურებთან, ბანკებთან და სამედიცინო დაწესებულებებთან. ხელშეკრულება ითვალისწინებს სტუდენტთა სტაჟირებას აღნიშნულ ორგანიზაციებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით.

II. სტრატეგიული ამოცანები

საზოგადოებრივი კოლეჯი "კავკასიონი" სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება მოიცავს შემდეგ ზოგად პრიორიტულ მიზნებს:

	განსახორციელებელი საკითხები	შესრულების პერიოდი	შემსრულებელი
1.	დაიგეგმოს 2018 წლის მარტის თვეში ოფის მენეჯერის, ბუღალტერის, მოდულური პროგრამების დამატება და მასთან დაკავშირებით შესაბამისი სასწავლო ინვენტარის და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შექმნა და საავტორიზაციო პროგრამების მომზადება.	25.09.2017- 1.03.2018 წელი	1.ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახური. 2. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 3.ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური 4. ბიბლიოთეკა 5. სასწავლო ნაწილი 6.საინფორმაციო და კომპი-უტერული ტექნოლოგიე-ბით უზრუნველყოფის ცენტრი
2.	გამართული სასწავლო პროცესის ორგანიზების უზრუნველყოფა;	2017-2018 სას.წელი	1.სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

			2.სასწავლო ნაწილი
3.	სწავლების ხარისხის და მისი შეფასების მექანიზმების უზრუნველყოფა;	2017-2018 სას.წელი	1.სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
4.	კოლეჯის სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;	2017-2018 სას.წელი	1.სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. 2.ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახური.
5.	შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებადი მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და რეალიზაცია, საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლება და ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;	2017-2018 სას.წელი	1.სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
6.	კოლეჯის სტრუქტურების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგები, მივლინებები კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გამოცდილების გასაზიარებლად;	2017-2018 სას.წელი	1.სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. 2.ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახური.
7.	საგანმანათლებლო სისტემისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის სისტემის განვითარება;	2017-2018 სას.წელი	1.ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახური.
8.	საგანმანათლებლო პროცესების მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის სრულყოფა;	2017-2018 სას.წელი	1.სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. 2. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 3.ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური 4.საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ცენტრი
9.	სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და გამოცდილების მიღების, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკების გავლის მიზნით მჭიდრო კავშირების დამყარება ცალკეულ საწარმოებთან, ფირმებთან, შესაბამის დაწესებულებებთან;	2017-2018 სას.წელი	1.სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. 2.ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახური.
10.	კოლეჯი ცდილობს დაამყაროს აქტიური კონტაქტები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე პროფესიულ სასწავლებლებთან.	2017-2018 სას.წელი	1.სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. 2.ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახური.

11.	ქუთაისის განყოფილებაში ლიფტის მოსაწყობად სამუშაოების ჩატარება.	2017-2018 სას.წელი	სამეურნეო სამსახური
-----	--	-----------------------	---------------------